

# ფონოლოგიური პროცესები ქართულენოვან ბავშვებში

## ანა შამათავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის ენისა და მეტყველების თერაპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი : თინათინ ჭინჭარაული,  
ფსიქოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

## სარჩევი

აბსტრაქტი .....	3
შესავალი .....	5
1.ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
1.1 ფონოლოგიური პროცესები.....	8
1.2 ფონოლოგიის განვითარების თეორიები .....	11
1.2.1მეტყველების განვითარების ტრადიციული მოდელი .....	12
1.2.2 მეტყველების ათვისების ლინგვისტური მოდელი.....	12
1.2.3 ფონოლოგიის განვითარების თეორიების შეჯამება.....	17
1.3 ენები და ფონოლოგიური პროცესები.....	18
1.4 ქართული ენის ფონეტიკური დახასიათება.....	20
2.კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვა .....	27
3. კვლევის მეთოდი.....	27
3.1კვლევის დიზაინი.....	27
3.2 მონაწილეთა შერჩევა.....	28
3.3 ინსტრუმენტები და პროცედურა.....	30
4.კვლევის შედეგები .....	31
5.დისკუსია.....	35
6.კვლევის შეზღუდვები .....	37
7.შეჯამება .....	38
8.გამოყენებული ლიტერატურა.....	39
დანართი .....	41

## აბსტრაქტი

ფონოლოგიური პროცესები წარმოადგენს სისტემურ ცვლილებებს ბგერაში, ბგერის ჯგუფებში ან მარცვლის სტრუქტურაში, რომელსაც ყველა ბავშვი გადის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მანამ სანამ მათი ფონოლოგიური სისტემა არ მიუახლოვდება ზრდასრული ადამიანის ფონოლოგიურ განვითარებას. ფონოლოგიური პროცესების სახეობების ცოდნა და მათი ასაკთან მიმართება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ენისა და მეტყველების დარღვევების დიაგნოსტიკებისა და მათი პრევენციისათვის.

კვლევა მიზნად ისახავდა ქართულენოვანი ბავშვებისთვის დამახასიათებელი ფონოლოგიური პროცესების აღმოჩენას, მომავალში ქართულენოვანი, ტიპური განვითარების მქონე ბავშვის ფონოლოგიური პროფილის შესაქმნელად.

გამოყენებული იყო აღწერითი, კროს-სექციური კვლევის მეთოდი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 3 წლიდან 4 წლამდე ასაკის ტიპური განვითარების მქონე 40 ბავშვმა. ბავშვები განაწილებულნი იყვნენ 2 ასაკობრივ ჯგუფში 6 თვიანი შუალედებით. კერძოდ 20 ბავშვი იყო 3 წლიდან 3 წლისა და 6 თვის ასაკის, ხოლო 20- 3 წლისა და 7 თვიდან 4 წლამდე ასაკის. ბავშვების ფსიქიკური განვითარების შეფასება განხორციელდა, ქართული პოპულაციის ნორმებზე მორგებული ასაკებისა და ეტაპების კითხვარის მეშვეობით (ASQ-3) რომელსაც ბავშვის მშობელი ავსებდა. შერჩეულ ბავშვებთან თამაშის პროცესზე დაკვირვებით, მოხდა მათი თავისუფალი საუბრის ჩაწერა(15 წთ) და შემდეგ ამ ჩანაწერების მეშვეობით ენის ნიმუშების დამზადება. აღწერილი იქნა ენის ნიმუშებში აღმოჩენილი ფონოლოგიური პროცესები .

შედეგებიდან გამოჩნდა, რომ ამ კვლევის ფარგლებში ქართულ ენაში დაფიქსირდა როგორც ჩანაცვლების და ასიმილაციის ასევე მარცვლის სტრუქტურაში არსებული პროცესები. ყველაზე ხშირი კლასტერების შემცირება , წინ გადმოტანა და დისიმილაცია აღმოჩნდა. ინგლისური ენისაგან განსხვავებით ქართულში დაემატა ენისათვის სპეციფიური პროცესები, როგორცაა თანხმობის დაყრუება, ან ფშვინვიერის შეცვლა. თუმცა ბევრი პროცესი ინგლისურ ენასთან საზიარო აღმოჩნდა. კვლევის ფარგლებში არ დაფიქსირდა არსებითი განსხვავება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

შეჯამება: ქართველი ბავშვები იყენებენ მრავალი სახის ფონოლოგიურ პროცესებს, როგორც ქართულისთვის დამახასიათებელს ასევე სხვა ენებში მოხსენიებულს, მაგრამ იმისათვის, რომ ფონოლოგიური პროცესების აღმოჩენილი ეს სახეები უფრო კარგად იქნეს შესწავლილი და შევძლოთ გავიგოთ მათი გაჩენისა და გაქრობის დამახასიათებელი დრო, აუცილებელია მათი მეტ ასაკობრივ კატეგორიასთან კვლევა.

საძიებო სიტყვები : ქართული ენა, ფონოლოგიური განვითარება, ფონოლოგიური პროცესები .

Purpose: Phonological processes are systematic changes in sound classes, that children use, before their phonological system matures. In Georgian language there is no evidence about which phonological processes are typical for Georgian children and when they occur. So the aim of this study was, to identify phonological processes that Georgian children use.

Method: Study design was cross-sectional descriptive one. 40 monolingual, Georgian speaking, typically developing children were chosen from 3 kindergartens in Tbilisi. The age was 3 from 4 years, children were divided into two groups (3:00-3:06, and 3:06-4:00) . audio recordings(15 min) of free play were collected, speech samples were done and phonological processes transcribed.

Results: the most frequent phonological process was cluster reduction, followed by fronting and dissimilation. Georgian children have assimilation, substitution and also syllable structure processes, they use most of processes that also English speaking children do , but we also had some, that is not similar in other languages. There were no significant differences between ages and gender in terms of phonological processes.

Conclusion: Georgian speaking children use several phonological processes. To use typically phonological processes as one of the criteria for SSD we need to have also typically occurring time , so we need further research with other age categories, and more participants, to prove our results and have larger data.

Key words: Georgian speaking children, phonological processes, phonological development.